გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2023 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

გორის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები რთული ქცევის მოზარდების ფსიქოსოციალური მომსახურება, ადგილობრივი თემის ცნობიერების ამაღლების კამპანია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკითხებზე.

2. **თემატიკა: ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამები, ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვზე მავნე ზემოქმედების პრევენცია;**

(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

(**მუნიციპალიტეტი**, საერთაშორისო **არასამთავრობო ორგანიზაცია,** ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

გორის მუნიციპალიტეტი არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთობლივი თანამშრომლობით.

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის **რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)**

გორის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. გორის მუნიციპალიტეტის ფართობი 2327 კმ2 - ია, მოსახლეობის რაოდენობა კი 144000 ადამიანს შეადგენს. გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია - ქ. გორი. თვითმმართველ ერთეულში შემავალი დასახლებების მართვის ოპტიმიზაციისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია სულ 21 ადმინისტრაციული ერთეული. გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო აღმსარულებელ ორგანოს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის მერია, რომელსაც ხელმძღვანელობს პირდაპირი წესით არჩეული გორის მუნიციპალიტეტის მერი. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორია აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავს ისტორიულად და გეოგრაფიულად უმნიშვნელოვანეს ადგილებს, მათ შორის, ქ. გორიდან რამოდენიმე კილომეტრში მდებარეობს ძველი ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში, VII საუკუნის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი ატენის სიონი, ასევე, კლდეში ნაკვეთი უძველესი ქალაქი უფლისციხე, რომელიც VII საუკუნით თარიღდება. უფლისციხესა და მის შემოგარენში დაცულია არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლთა ჯგუფი, რომელთაგან უძველესი ადრინდელი ბრინჯაოს ხანისაა და მტკვარ-არაქსის კულტურის წრეს განეკუთვნება.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

მაღალმთიანი სოფლები, ეგრეთ წოდებული საზღვრისპირა სოფლები და დევნილთა ჩასახლებები. გორის მუნიციპალიტეტის პროგრამები ძირითადად მორგებულია მოსახლეობის საჭიროებებზე.

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;

პროგრამის განხორციელების დადებითი მაჩვენებლია ის, რომ როგორც მუნიციპალიტეტის თანამშრომლები,ისე მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას ჰყავს კვალიფიციური სპეციალისტები. ვფიქრობთ, რომ პრობლემა სწორად და დროულად იქნა დანახული მუნიციპალიტეტის მხრიდან და არასამთავრობო ოტგანიზაცია GCRT-თან ურთიერთთანაშრომლობით, მუნიციპალიტეტის მხრიდან ადამიანური თუ ფინანსური რესურსით, უწყებებთან კოორდინირებული ურთიერთობით წარმატებით ხორციელდება პროექტი, რომლითაც შეიძლება ისარგებლოს საჭიროების მქონე ყველა ბენეფიციარმა, მიუხედავად მისი სოციალური სტატუსისა. შედეგად სარგებელს იღებს გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები არასრულწლოვნები და მათი მშობლები. კერძოდ, არასრულწლოვნებისთვის ხელმისაწვდომია მიზანმიმართული ფსიქოსოციალური სერვისი, აგრეთვე ბავშვთა ფსიქიატრის მომსახურება, რომელიც ფაქტიურად ჩვენს რეგიონს არ ჰყავს. პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი თანამშრომლობა, რომლის კარგი პრაქტიკაც გაგვაჩნია.

გარე ფაქტორები - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

2022 წლის ოქტომბერში გაიმართა მულტიუწყებრივი სამუშაო შეხვედრა, რომელზეც წარმოდგენილნი იყვნენ არასრუწლოვანთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები. შეხვედრაზე პროექტის წარმომადგენლებმა მონაწილეებს გააცნეს პროექტის მიმდინარე აქტივობები. გაიმართა მსჯელობა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ არასრულწლოვანთა საჭიროებებზე და ინტერვენციის მეთოდებზე, გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური საკითხი, მათ შორის საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების საჭიროებასთან დაკავშირებით, ბავშვებში და მოზარდებში დანაშაულის პრევენციის მიზნით პრევენციული პროგრამების ნაკლებობა.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

გამოწვევა - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება

მოზარდების გახშირებული ანტისოციალური ქცევა და ქმედება. ძირითადად მავნე ზეგავლენის ქვეშ მიდრეკილ სეგმენტს მოზარდები წარმოადგენენ, მაგრამ საბოლოოდ მათი უმრავლესობა წყვეტს

ანტისოციალურ ქმედებას, რაც დამოკიდებულია პრობლემის დროულ იდენტიფიცირებასა პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე.

წარსული გამოცდილება - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;

პასუხი არსებულ გამოწვევაზე - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

რამდენიმე წლის წინ გორის მუნიციპალიტეტში მოხდა მკვლელობა სადაც ძირითადად მონაწილეობდნენ არასრულწლოვნები, ისიც გაირკვა რომ მოზარდები ალკოჰოლური და ნარკოტიკული ნივთიერების თრობის ქვეშ იმყოფებოდნენ. არის შემთხვევვები როდესაც ბავშვები ერთმანეთს ამცირებენ, შეურაცხყოფას აყენებენ,მასხარად იგდებენ, ხშირად სკოლის ნაცვლად ქუჩაში ან სხვა გასართობით არიან დაკავებული. ამდაგვარი სხვა მაგალითები რომელიც თვალსაჩინო გახდა ველზე მუშაობისას, დავიწყეთ ფიქრი შეგვექმნა და გაგვეხორციელებინა ადრეული პრევენცია რისკ ჯგუფებთან , რომელიც ხელს შუწყობდა ამდაგვარი გამომწვევი ფაქტორების შემცირებას. რისკჯგუფებს წარმოადგენენ:

- მზრუნველობამოკლებული არასრულწლოვნები;
- ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე არასრულწლოვნები;
- სასწავლო პროცესის გარეთ მყოფი არასრულწლოვნები;
- ანტი-სოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვნები,
- მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნები,
- პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები;
- 14-დან 21 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები;
- ახალგაზრდები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელი არასრულწლოვნები;
- ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნები.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით უკვე არსებობს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით პოზიტიური გამოცდილება,კვლავ დღის წესრიგშია მიზანმიმართული პროგრამებისა და ღონისძიებების საჭიროება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

მუნიციპალიტეტი ორგანიზაცია GCRT (წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი) თანამშრომლობით ახორციელებს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკითხებზე, კანონთან კონფლიქტში მყოფი და რთული ქცევის არასრულწლოვნებისათვის მიზნობრივი ფსიქოსოციალური სერვისის მიწოდებას, მშობლების და საჭიროების შემთხვევაში ჯგუფურ თერაპიას.
ბავშთა ფსიქიატრის მომსახურებას ბავშვის უფლების დაცვასა და მხარდაჭერას, ბავშვზე მავნე ზემოქმედების პრევენციის საკითხებზე ადგილობრივი თემის ცნობიერების ამაღლების კამპანიას.

ერთობლივად განხორციელდა სამუშაო შეხვედრები, შეხვედრებზე განხილული იქნა პრევენციის მიმართულებით გამოვლენილი საჭიროებები.
პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ცნობიერების ამაღლების კამპანია მუნიციპალიტეტის თემში შემდეგ თემებზე:

- ფსიქოგანათლება ბავშვის განვითარების თავისებურებების შესახებ;
- არასრულწლოვნების ქცევითი და ემოციური პრობლემების იდენტიფიკაცია;
- ქცევითი პრობლემების მქონე მოზარდებთან ეფექტური კომუნიკაცია;
- არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და სხვა მავნე ზემოქმედების პრევენცია.

პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგი „სახელმწიფო, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის პროცესში“ 2023 წლის 6-7 აპრილს, ტრენინგს ესწრებოდნენ გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ცენტრის სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგი არასრულწლოვანების საკითხებზე მომუშავე სათემო ორგანიზაციის წარმომადგენლები (15 მონაწილე).
ტრენირება მოხდა შემდეგ თემებზე: რთული ქცევის მქონე მოზარდებთან მუშაობის თავისებურებები, მშობელთა პოზიტიური სწავლება, ძალადობის ნიშნების ამოცნობა და მასზე რეაგირება და სხვ, ტრენინგს უძღვებოდნენ GCRT-ის ბავშვთა ფსიქოთერაპევტები რომელთაც ჰქონდათ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება

ჩატარდა 20 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 298-მა მოქალაქემ, მშობლებს ადგილზე გაეწიათ ინდივიდუალური კონსულტაციები, დამსწრეთა დაახლოებით 60%-მა პროცენტმა გამოთქვა ფსიქოსოციალური მომსახურების მიღების სურვილი. მონაწილეებს, სკოლებს, გადაეცათ საინფორმაციო ფურცლები (სადაც დატანილია ინფორმაცია რეგიონში არსებული სერვისიების შესახებ) და პროექტის ფარგლებში მომზადდა და დაიბეჭდა პრაქტიკული სახელმძღვანელო ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვების მშობლებისთვის. მნიშვნელოვანია ისიც რომ აქტივობაში ჩართულია მუნიციპალიტეტის სკოლებიც.
პროექტის ფარგლებში, GCRT-ის გორის ცენტრმა ინდივიდუალური, ფსიქოსოციალური მომსახურება გაუწია 55 ბენეფიციარს, ხოლო ბავშვთა ფსიქიატრის მომსახურებით ამ ეტაპზე ისარგებლა 6 არასრულწლოვანმა, ასევე განისაზღვრა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ინდივიდუალური და ჯგუფური რეაბილიტაციის პროგრამები.
ინტერვენციის პროგრამები მორგებულია თითოეული ბენეფიციარის სპეციფიკურ საჭიროებებსა და პრობლემებზე.
არასამთავრობო ორგანიზაცია GCRT_ი ბენეფიციარებს აწვდის 7 მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სარეაბილიტაციო პროგრამას არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდებისთვის (ანტისოციალური ქცევის პრევენცია, პოზიტიური აზროვნების პროგრამა, ბრაზის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, დანაშაულის გაცნობიერება, არტთერაპია, ბიბლიოთერაპია) და „პოზიტიური მშობლობის“ პროგრამას არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლებისთვის. თითოეული პროგრამა ეფუძნება კოგნიტურ ქცევის თეორიას და იყენებს არასრულწლოვანთა კონკრეტულ საჭიროებაზე მორგებულ მუშაობის განსხვავებულ მეთოდოლოგიას.

გორის მუნიციპალიტეტის ერთეულების მაცხოვრებლებთან შეხვედრის შემდეგ ცენტრში საგრძნობლად გაიზარდა მომართვიანობა, ამ ეტაპზე ცენტრში არსებობს მომლოდინეთა სია. საჭიროების შემთხვევაში გადამისამართდებიან ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრთან ან ნეიროფსიქოლოგთან კონსულტაციის მისაღებად. ხოლო იმ ბენეფიციარებს, ვისაც ექნება გადაადგილების ხარჯების დაფინანსების სირთულე,აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯები.

პროექტის შინაარსი;

მუნიციპალიტეტი ორგანიზაცია GCRT, გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან პარტნიორობით ახორციელებს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკითხებზე ადგილობრივი თემის ცნობიერების ამაღლების კამპანიას. ერთობლივად განხორციელდა სამუშაო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან (25 მონაწილე), განისაზღვრა ადგილობრივ თემთან შეხვედრების განრიგი და განხორციელდა საველე შეხვედრები, შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლები, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, შეხვედრებზე განსახილველი აქტუალური საკითხები იყო:

- ფსიქოგანათლება ბავშვის განვითარების თავისებურებების შესახებ;
- არასრულწლოვნების ქცევითი და ემოციური პრობლემების იდენტიფიკაცია;
- ქცევითი პრობლემების მქონე მოზარდებთან ეფექტური კომუნიკაცია;
- არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და სხვა;

- აქტივობათა გეგმა/გრაფიკი (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);
- პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*
- ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) ჩართულობის შესახებ;

პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა მულტისექტორული თანამშრომლობა სადაც ადგილობრივი თვითმმართველობა- გორის მუნიციპალიტეტის მერია, არასამთავრობო ორგანიზაცია „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი- GCRT_ის და გორის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლები, პერსონალი და დირექტორები, ჩართულნი იყვნენ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებასა და ინფორმაციის გავრცელებაში მათ სკოლასა და თემში. (სკოლის

ინფორმირების შემდეგ მშობლებთან შეხვედრების ორგანიზებას კურირებას უწევდა სკოლის დირექცია)

ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:

ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;

ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;

გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

პროექტის განხორციელებაში გამოყენებულია მუნიციპალიტეტის და არასამთავრობო ორგანიზაციის როგორც ადამიანური ისე ფინანსური მატერიალურ ტექნიკური რესურსი.

პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული კატეგორია სარგებლობს პროგრამით, არსებობენ კიდევ საჭიროების მქონე ბენეფიციარები, რომლებიც მომსახურებას არ იღებენ. მნიშვნელოვანია მშობლების გააქტიურება პრობლემის აღქმა მათი მხრიდან, სკოლების და სოციუმის მეტად ჩართულობა დროული ინტერვენცია .

- ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;

გორის მუნიციპალიტეტს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT) ფონდთან „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი“ გორის მუნიციპალიტეტის მერის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლები, სკოლის დირექტორები, მასწავლებლები, მშობლები და ბავშვები(განხორციელების ეტაპზე)

- სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;

პროგრამის ფარგლებში GCRT-ის გორის ცენტრმა ინდივიდუალური, ფსიქოსოციალური მომსახურება გაუწია 55 ბენეფიციარს. ხოლო ბავშვთა ფსიქიატრის მომსახურებით ამ ეტაპზე ისარგებლა 6 არასრულწლოვანმა. გუნდი დაკომპლექტებულია შემდეგი სპეციალისტებით: ფსიქოლოგი/ფსიქოთერაპევტი, სოციალური მუშაკი/შემთხვევის მენეჯერი. აქტივობის მოსამზადებელ ეტაპზე განისაზღვრა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კერძოდ, ინდივიდუალური და ჯგუფური რეაბილიტაციის პროგრამები. ინტერვენციის პროგრამები მორგებულია თითოეული ბენეფიციარის სპეციფიკურ საჭიროებებსა და პრობლემებზე. ორგანიზაცია ბენეფიციარებს აწვდის 7 მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სარეაბილიტაციო პროგრამას არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდებისთვის (ანტისოციალური ქცევის პრევენცია, პოზიტიური

აზროვნების პროგრამა, ბრაზის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, დანაშაულის გაცნობიერება, არტთერაპია, ბიბლიოთერაპია) და „პოზიტიური მშობლობის“ პროგრამას არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლებისთვის. თითოეული პროგრამა ეფუძნება კოგნიტურ ქცევის თეორიას და იყენებს არასრულწლოვანთა კონკრეტულ საჭიროებაზე მორგებულ მუშაობის განსხვავებულ მეთოდოლოგიას. თემში შეხვედრების შემდეგ ცენტრში საგრძნობლად გაიზარდა მომართვიანობა. პროექტის ფარგლებში ბენეფიარები საჭიროების შემთხვევაში გადამისამართდებიან ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრთან ან ნეიროფსიქოლოგთან კონსულტაციის მისაღებად. ხოლო იმ ბენეფიციარებს, ვისაც ექნება გადაადგილების ხარჯების დაფინანსების სირთულე, აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯები.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:
(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

პროგრამის განხორციელებამ დადებითად იმოქმედა იმ ბენეფიციარებზე, მათ ოჯახებზე რომლებმაც ისარგებლეს სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან ფსიქოთარაპიული მომსახურებით. სეანსების შემდგომ მათი უნარები, მენტალური მგომარეობა არის გაუმჯობესებული, რაც დადებითად აისახება მათ უნარებზე და ცხოვრების ხარისხზე.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:
(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

პრობლემის დროული იდენტიფიცირება რეაგირება, პრევენცია მულტიუწყებრივი კოორდინაცია.

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);

მუნიციპალიტეტს, რომელსაც სურს აღნიშნული პროგრამის განხორციელება, მნიშვნელოვანია ჰქონდეს ცვლილების სურვილ მზად იყოს მულტიუწყებრივი თანამშრომშრომლობისთვის. მნიშვნელოვანია პროფესიონალი კადრის არსებობა პროექტის დაგეგმვა განხორციელებაში. უპირველესი ამოცანა არის ბენეფიციარის კონფიდენციალობა. დაუშვებელია პროცესში მოხდეს ძალადობის შემდგომი ვიქტიმიზაცია. პროგრამა უნდა იყოს მოქნილი, ეხმაურებოდეს არსებულ გამოწვევას და უნდა იყოს მორგებული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებაზე. მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მზაობა, ბიუჯეტის გამოყოფა პროგრამის განსახორციელებლად. მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით უნდა მოხდეს ინფორმაციის გავრცელება, მოსახლეობის და უწყებების ინფორმირებულობა. განყოფილების მიერ დღემდე აქტიურად მიმდინარეობს აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ყველა უწყებასთან, პირთან, ვინც შემხებლობაშია ოჯახთან, თემთან და ბავშვებთან. მნიშვნელოვანია თანამშრომლების პროფესიონალიზმი, ამაღლებული მოტივაცია. სიახლეების ძიება, მოსახლეობასთან ახლოს დგომა, მათი პრობლემების დროული იდენტიფიცირება, პრევენცია.

- **ინფორმაცია პრაქტიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):

ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;
გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;
დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

2023წ ბიუჯეტში გათვალისწინებული სოციალური პროექტების თანადაფინანსების ფარგლებში გაფორმბულია ხელშეკრულება პროექტის განსახორციელებლად.

10. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

გორის მუნიციპალიტეტისთვის აღნიშნული პროგრამა არის ინოვაციური, ჩვენს მიერ გამოკვეთილი იყო საკითხის აქტუალობა და პრობლემის სიმწვავე გორის მუნიციპალიტეტში, რის შემდეგაც საკრებულომ დაამტკიცა სოციალური პროგრამების თანადაფინანსების პროგრამა. საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება დადებითი იყო.

11. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**
<u>საჭიროების მქონე ბენეფიციარების დროული იდენტიფიცირება და პროგრამით სარგებლობის უზრუნველყოფა.</u>

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);
- **დიანა ბერიძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერია ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი. 595 33 55 07 ელ-ფოსტა diko.beridze@gmail.com

- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

შორენა ზედგენიძე- პროექტის დირექტორი (GCRT) 557 71 31 25 ელ-ფოსტა shzedgenidze@gcrt.ge

თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);
გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;
გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.
https://www.facebook.com/media/set/?set=a.587367560104123&type=3

https://www.facebook.com/media/set/?set=a.605736858267193&type=3

განაცხადის მიღების ვადაა 2023 წლის 10 ოქტომბერი- 17 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

• **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge